



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 140

2016 წლის 7 აგვისტო
ქ. თბილისი

**2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო
კონკურსის გამოცხადების შესახებ**

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის
30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესი და პირობების მე-3 მუხლის,
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო
ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით
დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ
შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და
პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის
მოადგილის, ნინო გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N840873, 07.07.2016)
შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების
დაფინანსების საგრანტო კონკურსი (შემდგომში - კონკურსი);
2. დამტკიცდეს 2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების
დაფინანსების საგრანტო კონკურსის პირობები ამ ბრძანების დანართი N1-ის
შესაბამისად;
3. დამტკიცდეს პროექტის თავფურცელის ფორმა ამ ბრძანების დანართი N2-ს
შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საპროექტო წინდადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N3-ის
შესაბამისად;
5. დამტკიცდეს პროექტის ბიუჯეტის ფორმა ამ ბრძანების დანართი N4-ის შესაბამისად;

6. დამტკიცდეს პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის ფორმა ამ ბრძანების დანართი N5-ის შესაბამისად;
7. დამტკიცდეს დოქტორანტის ბიოგრაფიული მონაცემების (CV) ფორმა ამ ბრძანების დანართი N6-ის შესაბამისად;
8. დამტკიცდეს ინფორმაცია დოქტორანტის დისერტაციის ხელმძღვანელის (სავალდებულო), თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N7-ის შესაბამისად;
9. დამტკიცდეს პროექტის რეზიუმეს ფორმა ამ ბრძანების დანართი N8-ის შესაბამისად;
10. დამტკიცდეს ინფორმაცია პროექტის შესაბამისი სამეცნიერო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N9-ის შესაბამისად;
11. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების ფორმა ამ ბრძანების დანართი N10-ის შესაბამისად;
12. დამტკიცდეს ცნობა დოქტორანტურის თანადაფინანსების შესახებ ფორმა ამ ბრძანების დანართი N11-ის შესაბამისად;
13. დამტკიცდეს სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი ამ ბრძანების დანართი N12-ის შესაბამისად;
14. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში დოქტორანტის უცხოეთში ვიზიტის დროს ყოველთვიური დაფინანსების ნორმები ქვეყნების კაეგორიების მიხედვით ამ ბრძანების დანართი N13-ის შესაბამისად;
15. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
16. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მარინე ჩიტაშვილი

**2016 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების
კონკურსის პირობები**

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსების კონკურსის (შემდგომში - კონკურსის) პირობები არეგულირებს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დასაფინანსებლად კონკურსის გამართვის, საგრანტო განაცხადის შეფასების, გრანტის გაცემისა და შესრულების ანგარიშების მონიტორინგის საკითხებს.
2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტით დაფინანსება მოხდება ღია კონკურსის მეშვეობით, რომლის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის მიზნობრივი გამოყენება და ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნა; წარმატებული, ნიჭიერი ახალგაზრდა მკვლევარების გამოვლენა, მათი სადოქტორო კვლევების თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში განხორციელების ხელშეწყობით საქართველოში სამეცნიერო კვლევების ხარისხის ზრდა და ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში ინტეგრირება; საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებში სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის გაუმჯობესება, სადოქტორო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება და უმაღლესი განათლების ხარისხის ამაღლება.
3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში პროექტების წარდგენა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. ამ მიმართულებებს კონკურსის სამეცნიერო კლასიფიკატორის (დანართი 12) მიხედვით მიენიჭა შემდეგი კოდები:
 1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები
 2. ინჟინერია და ტექნოლოგიები
 3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
 4. აგრარული მეცნიერებები
 5. სოციალური მეცნიერებები
 6. ჰუმანიტარული მეცნიერებები
 7. საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები

მუხლი 2. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირება

1. საგრანტო კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დადგენილი წესითა და გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით.
2. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ ღია კონკურსის წესით.
3. ფონდი უზრუნველყოფს:
 - ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას; კონკურსის პროგრამა და პირობების, პროექტის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;
 - ბ) კონკურსის გამოცხადებას;

- გ) კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის პირობებთან;
- დ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების ადმინისტრირებას;
- ე) ექსპერტებისგან მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით რანჟირებული სიების დადგენას მიმართულებებისა და ქვე-მიმართულებების მიხედვით, გამარჯვებული პროექტების გამოვლენას, დამტკიცებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში პროექტებში ცვლილებების შეტანას.
- ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას და დაფინანსებას;
- ზ) საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.
4. ფონდი არ განიხილავს კონკურსის პირობებისა და ვადების დარღვევით წარმოდგენილ პროექტებს.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები

1. კონკურსის ფარგლებში გაიცემა მხოლოდ ინდივიდუალური სასწავლო-კვლევითი გრანტები.
2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხულია საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
3. კონკურსის მონაწილე დოქტორანტს უნდა ჰყავდეს დისერტაციის ხელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს დოქტორანტს სადოქტორო კვლევითი პროექტის განხორციელებაში.
4. კონკურსის მონაწილე დოქტორანტს შესაძლოა ჰყავდეს:
 - ა) დისერტაციის თანახელმძღვანელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც კონსულტირებას გაუწევს დოქტორანტს კვლევის პროცესში.
 - ბ) დისერტაციის ქართველი, ან უცხოელი კონსულტანტი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი, რომელიც სამეცნიერო კონსულტირებას გაუწევს დოქტორანტს კვლევის პროცესში.
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში დოქტორანტს შეუძლია მხოლოდ ერთი საკონკურსო განაცხადის წარდგენა.
6. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს დოქტორანტს, რომელიც არის ამავე საგრანტო კონკურსის 2013 და 2014 წლებში გამარჯვებული პირი.
7. პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის და ასევე სხვა იურიდიული/ფიზიკური პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
8. გამარჯვებული პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს 2016 წლის ოქტომბრიდან.
9. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს მინიმუმ 6 თვე და მაქსიმუმ 36 თვე. თვეების რაოდენობა უნდა იყოს 6-ის ჯერადი და შესაბამებოდეს 6 თვით საანგარიშო პერიოდებს.

მუხლი 4. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები

ერთი საგრანტო პროექტისთვის ფონდიდან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 21 000 ლარს.

1. პროექტის საგრანტო დაფინანსება პროექტის ხანგრძლივობასთან მიმართებაში შეიძლება მოთხოვნილი იყოს შემდეგი სქემით:

პროექტის ხანგრძლივობა თვეებში	ფონდიდან მოთხოვნილი მაქსიმალური თანხა (ლარი)
6 თვე	10 500 ლარი
12 თვე	21 000 ლარი
18 თვე	31 500 ლარი
24 თვე	42 000 ლარი
30 თვე	52 500 ლარი
36 თვე	63 000 ლარი

2. საანგარიშო პერიოდი არის 6 თვე. 2016 წელს პირველი საანგარიშო პერიოდისათვის ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 500 ლარს.
3. დოქტორანტმა, რომელსაც პროექტის წარდგენის მომენტში შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი და რომელსაც:
 - ა) აქვს დახურული არცერთი სემესტრი სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 36-თვიანი პროექტისათვის;
 - ბ) დახურული აქვს ერთი სემესტრი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 30-თვიანი პროექტისათვის;
 - გ) დახურული აქვს ორი სემესტრი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 24 თვიანი პროექტისათვის;
 - დ) დახურული აქვს სამი სემესტრი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 18 თვიანი პროექტისათვის;
 - ე) დახურული აქვს ოთხი სემესტრი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 12 თვიანი პროექტისათვის;
 - ვ) დახურული აქვს ხუთი სემესტრი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 6 თვიანი პროექტისათვის.
4. აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე დოქტორანტმა, რომელიც არის:
 - ა) პირველი სემესტრის სტუდენტი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 30 თვიანი პროექტისათვის;
 - ბ) მეორე სემესტრის სტუდენტი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 24 თვიანი პროექტისათვის;
 - გ) მესამე სემესტრის სტუდენტი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 18 თვიანი პროექტისათვის;
 - დ) მეოთხე სემესტრის სტუდენტი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 12 თვიანი პროექტისათვის;
 - ე) მეხუთე სემესტრის სტუდენტი, სასწავლო-კვლევითი გრანტი შეიძლება მოითხოვს არაუმეტეს 6 თვიანი პროექტისათვის.
5. პროექტის განხორციელებისათვის ფონდიდან მოთხოვნილი ბიუჯეტი შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ხარჯებით კატეგორიებს:
 - ა) დოქტორანტის სტიპენდიას;
 - ბ) სასწავლო - კვლევითი საქმიანობის ხარჯებს, ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული სამუშაოების ან/და საველე სამუშაოების ხარჯს;
 - გ) პროექტის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის ხარჯს (კონფერენცია, კონგრესი, ვორქშოპი, სემინარი და სხვა);
 - დ) დისერტაციის მიზნებისათვის დისერტაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებს;

- ე) სასწავლო და კვლევითი პროცესისათვის საჭირო სხვა ხარჯებს.
6. სტიპენდიის სახით დოქტორანტმა წელიწადში შეიძლება მოითხოვოს დასაშვები წლიური ბიუჯეტის ოდენობის არაუმეტეს 50% (არაუმეტეს 10 500 ლარისა). 6 თვიანი პროექტის შემთხვევაში - არაუმეტეს 5250 ლარისა. დოქტორანტის ყოველთვიური სტიპენდია არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს.
 7. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ხარჯები (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები მონაწილეობის ხარჯი) ანაზღაურდება საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N 231 ბრძანებულებით დადგენილი სადღედამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების წორმების შესაბამისად.
 8. დოქტორანტის უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა წელიწადში არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. 6 თვიანი პროექტებისთვის დაფინანსებული დოქტორანტების კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. საერთაშორისო, ერთობლივი სადოქტორო პროგრამების შემთხვევაში, უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს წელიწადში არაუმეტეს 12 თვისა.
 9. უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის პერიოდისათვის დოქტორანტი მიიღებს ამ ბრძანების დანართი 13-ით (დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსში გამარჯვებული დოქტორანტის უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტის დროს ყოველთვიური დაფინანსების ნორმები ქვეყნების კატეგორიების მიხედვით) განსაზღვრულ ყოველთვიურ დაფინანსებას. 12 და მეტი დღის ხანგრძლივობის ვიზიტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული დანართით გათვალისწინებული ნორმებით. იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთში დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტი გრძელდება არასრული თვე, დოქტორანტის ყოველთვიური დაფინანსება დაიანგარიშება ნორმებზე დაყრდნობით, პროპორციული წესის გამოყენებით. 12 დღემდე ხანგრძლივობის ვიზიტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებმა უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის #231 ბრძანებულებით დადგენილი ლიმიტებით.
 10. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების გადარიცხვა განხორციელდება საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანშების სახით.
 11. პირველ ტრანშს ფონდი გადარიცხავს ავანსის სახით საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში. ყოველი მომდევნო ტრანში გადარიცხება ფონდის მიერ განხილვის აქტის საფუძველზე.
 12. სასწავლო-კვლევითი გრანტით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, იჯარა, კაპიტალური რემონტი/რეკონსტრუქცია, ასევე ავტომანქანის შეძენა.
 13. გრანტის მოგების შემთხვევაში დოქტორანტს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ჩაერიცხება პირად, მიზნობრივ ანგარიშზე, რომელზეც არ დაირიცხება ბანკის მიერ სარგებელი და განხორციელდება ოპერაციები მხოლოდ სასწავლო-კვლევითი გრანტის ფარგლებში.
 14. პროექტის დასაფინანსებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა შეფასებისას მაქსიმალური 27 ქულიდან 18 ან მეტი ქულის მიღება.
 15. ფონდის მიერ კონკურსისთვის გამოყოფილი თანხის 10 % განსაზღვრულია „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ მიმართულებაში დარეგისტრირებული გამარჯვებული პროექტებისთვის. საერთო ბიუჯეტის დარჩენილი 90% განაწილდება 6 სამეცნიერო მიმართულებაზე (1-6) ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად.
 16. თითოეული მიმართულებისთვის განსაზღვრული თანხიდან ნაშთის დარჩენის შემთხვევაში, ჯამური ნაშთი მოხმარდება დაფინანსების გარეშე დარჩენილ 1-6 მიმართულებებს შორის უმაღლესქულიან პროექტებს, რომლებიც შეფასებისას მიიღებენ 18 ან მეტ ქულას.
 17. შესაძლებელია თანდაფინანსების არსებობა.
 18. ფონდი არ ანაზღაურებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

მუხლი 5. საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენა ფონდში:

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროექტის დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ფონდის გენერალური დირექტორის 6 ივლისის № ____ ბრძანებით დადგენილი ფორმების დაცვით.
2. კონკურსში მონაწილეობისათვის დოქტორანტმა საპროექტო განაცხადი უნდა დაარეგისტროს

ფონდის ელქტრონულ ბაზაში და წარმოადგინოს განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ფონდის კანცელარიაში. ფონდის ელქტრონულ ბაზაში რეგისტრირებულ თითოეულ პროექტს მიენიჭება სარეგისტრაციო შიფრი და გაეგზავნება პროექტის გამომგზავნის. პროექტის სარეგისტრაციო შიფრი უნდა მიეთითოს განცხადებაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ, რომელიც ბარდება კანცელარიაში. განცხადება ხელმოწერილი უნდა იყოს დოქტორანტის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისა და დოქტორანტის დისერტაციის ხელმძღვანელის მიერ.

3. პროექტის ელქტრონული რეგისტრაცია შესაძლებელი იქნება 2016 წლის 18 ივლისიდან 2016 წლის 8 აგვისტოს 23:00 სთ-მდე. პროექტების რეგისტრაციის დეტალური ინსტრუქცია ფონდის ვებგვერდზე დაიდება 2016 წლის 18 ივლისს. ფონდის ბაზაში ელქტრონულად დარეგისტრირებული პროექტებისათვის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ ფონდშის კანცელარიაში წარმოდგენილი უნდა იყოს არაუგვიანეს 2016 წლის 10 აგვისტოს, 16:00 საათამდე. ვადის დარღვევით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია ფონდში აღარ მიიღება.
4. კონკურსში მონაწილეობისათვის დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები ქართულ და ინგლისურ ენებზე:
 - ა) პროექტის თავფურცელი (დანართი 2);
 - ბ) საპროექტო წინადადება (დანართი 3);
 - გ) პროექტის ბიუჯეტი და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთება (დანართი 4);
 - დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5);
 - ე) დოქტორანტის ბიოგრაფიული მონაცემები (CV) (დანართი 6);
 - ვ) დისერტაციის ხელმძღვანელის, დისერტაციის თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (დანართი 7);
 - ზ) პროექტის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე (დანართი 8);
 - თ) ინფორმაცია პროექტისათვის შესაბამისი სამეცნიერო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესახებ, ხელმოწერილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ (დანართი 9)
 - ი) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 10), ფონდის ელქტრონული ბაზის მიერ მინიჭებული პროექტის სარეგისტრაციო შიფრის მითითებით;
 - კ) ცნობა თანადაფინანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ¹ (დანართი 11) თანხის მითითებით უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული;
 - ლ) დოქტორანტის პირადობის მოწმობის ასლი;
 - მ) გრანტის მიმღები დოქტორანტის პირადი საბანკო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სხვა თანხები;
 - ნ) ცნობა დოქტორანტურის აკრედიტირებულ პროგრამაზე დოქტორნატის სწავლის შესახებ, სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით.
 - ო) დისერტაციის ხელმძღვანელის (სავალდებულო), თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და ცნობა სამსახურიდან (უსდ, ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან) მისი თანამდებობის მითითებით. აღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენის აუცილებლობა იხსნება კონსულტანტისათვის, რომელიც არის უცხო ქვეყნის მოქალაქე, ან უცხოეთში მოღვაწე თანამემამულე და მის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია დასტურდება ვებ-გვერდიდან.
5. ფონდში წარმოსადგენი საკონკურსო განცხადის დოკუმენტაცია შედგება ორი ნაწილისგან:
 - ა) პროექტის შინაარსი, რომელიც აიტვირთება ონლაინ ელქტრონულ ბაზაში ინგლისურ ენაზე და შედგება შემდეგი დოკუმენტებისგან:
 - 1) პროექტის თავფურცელი (დანართი 2, PDF ფაილი);
 - 2) საპროექტო წინადადება (დანართი 3, PDF ფაილი);
 - 3) პროექტის ბიუჯეტი და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთება (დანართი 4, Excel ფაილი);

¹ უცხოური რეგისტრირებული ორგანიზაციის შემთხვევაში ცნობა უნდა იყოს ინგლისურ ენაზე, თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული შესაბამისი თარგმანით.

- 4) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5, Excel ფაილი);
 - 5) დოქტორანტის CV (დანართი 6, PDF ფაილი);
 - 6) დისერტაციის ხელმძღვანელის, თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) CV-ები (დანართი 7, PDF ფაილი);
 - 7) დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი პროექტის რეზიუმე (დანართი 8, PDF ფაილი);
 - 8) ინფორმაცია პროექტისთვის შესაბამისი სამეცნიერო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შესახებ (დანართი 9, PDF ფაილი);
 - 9) ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან 2, 3, 6, 7, 8 და 9-ე დანართების ქართული ვერსიები უნდა აიტვირთოს ერთი, გაერთიანებული PDF ფაილის სახით.
 - 10) დანართი 4 (ბიუჯეტის და ფონდიდან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების) და დანართი 5 (პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის) ქართული ვერსიები უნდა აიტვირთოს ექსელის ფორმატში.
- ბ) პროექტზე თანდართული დოკუმენტები ქართულ ენაზე და ცნობა თანადაფინანსების შესახებ (დანართი 11) იტვირთება ელექტრონულ ბაზაში ერთ PDF ფაილის სახით. აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს შემდეგს:
- 1) ცნობას დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტის სწავლის შესახებ, დისერტაციის ხელმძღვანელისა (სავალდებულო) და თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებით, აგრეთვე სასწავლო სემესტრისა და დოქტორანტის წინა სასწავლო სემესტრის/სემესტრების აკადემიური მოსწრების მითითებით.
 - 2) დოქტორანტის პირადობის მოწმობის ასლს.
 - 3) გრანტის მიმღები დოქტორანტის პირადი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტებს;
 - 4) დისერტაციის ხელმძღვანელის (სავალდებულო), თანახელმძღვანელის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტს და ცნობას სამსახურიდან (უსდ, ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდან) მისი თანამდებობის მითითებით.
 - 5) ცნობას თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანართი 11).
6. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე საგრანტო კონკურსიდან მოხსნას პროექტი:
- ა) რომელიც არ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს;
 - ბ) რომელიც არ შეესაბამება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით დამტკიცებული პროექტის განაცხადის ფორმას;
 - გ) რომელსაც არ ერთვის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პროექტზე დასართავი დოკუმენტაცია და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში არ იქნება წარდგენილი ფონდში.
 - დ) რომელიც შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
7. ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად, თუ ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტზე დასართავი დოკუმენტაცია არასრულად ან დადგენილ მოთხოვნებთან (ვადები, წესი, ფორმატი, და ა.შ.) შეუსაბამოდ არის წარმოდგენილი.
8. პროექტის რეგისტრაციისას შესაძლებელია მიეთითოს არაუმეტეს სამი არასასურველი დამოუკიდებელი ექსპერტი, რომელთაც შესაფასებლად წარმოდგენილი პროექტი არ გაეგზავნება.
9. დოქტორანტი პასუხისმგებელია პროექტის ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე.
10. ფონდი უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტები, რომლებიც არ შეესაბამება კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.
11. შესაფასებლად განხილული იქნება ის პროექტი, რომლის შიფრიც შეტანილი იქნება განცხადებაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ.

მუხლი 6. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შეფასებული იქნება დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების მე-10 მუხლში განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.
2. ექსპერტი შეფასებას ახდენს დამოუკიდებლად, მიუკერძოებლად, საკუთარ ცოდნისა და შეხედულებების შესაბამისად და ფონდის მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე.
3. ფონდს შეფასების შედეგი წარედგინება მის მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.
4. დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე, ფონდი ადგენს და გენერალური დირექტორი ამტკიცებს პროექტების რანჟირებულ სიებს სამეცნიერო მიმართულებებისა და ქვემიმართულებების მიხედვით.
5. საჭიროების შემთხვევაში ფონდს შეუძლია მოიწვიოს დამატებითი ექსპერტი კონკრეტული პროექტ(ებ)ის შესაფასებლად.
6. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა მაქსიმალური 27 ქულიდან 18 ან მეტი ქულის მიღება.
7. დამოუკიდებელ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.
8. კონკურსის შედეგების გამოცხადების შემდეგ, დოქტორანტის მოთხოვნის შემთხვევაში, ფონდი უზრუნველყოფს მათი პროექტის შესახებ ექსპერტთა მიერ გაკეთებული დასკვნების გაცნობას.

მუხლი 7. ინტერესთა კონფლიქტი

1. არ შეიძლება პროექტების შეფასების პროცესში მონაწილეობდეს ექსპერტი:
 - ა) რომელიც არის საგრანტო კონკურსის მონაწილე;
 - ბ) რომელსაც აქვს საერთოპუბლიკაცია დოქტორანტთანან მონაწილეობს მასთანერთსა და იმავე სამეცნიერო-კვლევით პროექტში;
 - გ) რომელმაც შესაძლოა უშუალოდ მიიღოს პროფესიული, ფინანსური ან პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში;
 - დ) რომელიც არის დოქტორანტის დისერტაციის/შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
 - ე) რომელიც არის დოქტორანტის ნათესავი.
2. ამ წესის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:
 - ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - ბ) მეუღლე, მეუღლის და-მმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
 - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-მმა;
 - დ) და-მმა, მათი მეუღლები და შვილები.
3. ექსპერტი ვალდებულია, გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ამ მუხლში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ.
4. იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ექსპერტის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ფონდისთვის ცნობილი გახდება დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია იმსჯელოს ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

მუხლი 8. საგრანტო ხელშეკრულება და პროექტის შესრულების მონიტორინგი

1. ფონდის გენერალური დირექტორის მიერ გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას კონკურსში გამარჯვებულ დოქტორანტთან რომელშიც გაიწერება ურთიერთვალდებულებათა დეტალური პირობები.
2. საგრანტო ხელშეკრულება პროექტის განხორციელების სხვა პირობებთან ერთად ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ინტელექტუალური საკუთრების უფლებით სარგებლობას გრანტის მიმღებსა და გრანტის გამცემს შორის ქვეყანაში მოქმედი და საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტრანშებს ფონდი რიცხავს ავანსის სახით და ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.
4. გრანტის მიმღები ვალდებულია ექვსთვიანი საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში ფონდში წარმოადგინოს პროგრამული და ფინანსური ანგარიშები გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად.
5. ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.
6. პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი პროექტის ამოცანების შესრულების შედეგების შემოწმებას.
7. ფონდს არ აქვს ვალდებულება მონიტორინგი განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკით.
8. ფონდი უფლებამოსილია შეაფასოს მიმდინარე პროექტების განხორციელების პროცესი და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა. შეფასების პროცესში შესაძლოა ჩართული იყოს დარგის ექსპერტი.
9. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, შემოწმების შედეგად მიღებული აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.
10. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:
 - ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;
 - ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება – საგრანტო ხელშეკრულების ბიუჯეტით გაუთვალისწინებული ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას;
 - გ) ნაშთად ჩაითვლება – საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლებელია დაიხარჯოს მომდევნო საანგარიშო პერიოდში;
 - დ) გადახარჯვად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის კონკრეტული მუხლებით გათვალისწინებული ხარჯების გაწევა სხვა მუხლებში არსებული რესურსით, იმ შემთხვევაში, თუ გადახარჯულ მუხლში მომავალი ტრანშით ჩასარიცხი თანხა აღემატება ან ტოლია სხვა მუხლიდან გადახარჯული მუხლით გათვალისწინებული ხარჯებისათვის გამოყენებული რესურსის, გადახარჯვა არ ჩაითვლება ხარვეზად და არ წარმოადგენს პროექტის შეჩერების საფუძველს.

მუხლი 9. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება

პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანების მე-13 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 10. დამატებითი მოთხოვნები

1. გრანტის მიმღები ვალდებულია პროექტის ფარგლებში მომზადებულ და გამოცემულ ნებისმიერ ელექტრონულ, ბეჭდვით, აუდიო და ვიდეო მასალაზე განათავსოს ფონდის ლოგო და აღიარება პროექტის ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსის ფარგლებში დაფინანსების შესახებ და უზრუნველყოს ღია წვდომა აღნიშნულ მასალებზე.
2. ფონდი იტოვებს უფლებას გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროგრამული ანგარიშები, ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები და ვებგვერდის მისამართი გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდზე.

დანართი 2
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური
2016 წლის 7 ივლისის N 140-ბრძანებით

**სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის
დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსი
პროექტის თავფურცელი**

1. ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ¹

1	პროექტის დასახელება	
2	დოქტორანტის სახელი, გვარი	
3	დოქტორანტის საკონტაქტო ინფორმაცია: (ტელეფონი, ელ.ფოსტა)	
4	დისერტაციის ხელმძღვანელის სახელი გვარი	
5	დისერტაციის ხელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი ნომერი, ელ.ფოსტა)	
6	დისერტაციის თანახელმძღვანელის სახელი გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
7	დისერტაციის თანახელმძღვანელის საკონტაქტო ინფორმაცია(ტელეფონი, ელ.ფოსტა)	
8	კონსულტანტის სახელი გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
9	კონსულტანტის საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ.ფოსტა), ვებ გვერდი	
10	სადოქტორო პროგრამის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
11	საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	
12	პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
13	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
14	თანადაფინანსების თანხა ლარში (ასეთის არსებობის შემთხვევაში):	
15	პროექტის ხანგრძლივობა (თვეები):	

¹ სავალდებულო შესავსები ველებია 1, 2, 3, 4, 5, 10, 11, 12, 13, 15, 16, 17 ხოლო ველები: 6, 7, 8, 9, და 14 იცსება ასეთის
არსებობის შემთხვევაში.

16	პროექტის სამეცნიერო მიმართულება(ები) და ქვე-მიმართულება(ები) ²	
	მიმართულება 1	1- საბუნებისმეტყველო
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
	მიმართულება 2	2 - ინჟინერია და ტექნოლოგიები
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
	მიმართულება 3	3 - სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
	მიმართულება 4	4 - აგრარული მეცნიერებები
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
	მიმართულება 5	5 - სოციალური მეცნიერებები
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
	მიმართულება 6	6 - ჰუმანიტარული მეცნიერებები
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
	მიმართულება 7	7 - საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები
	ქვემიმართულებები (მიუთითეთ კოდი, დასახელება)	
მიუთითეთ ზემოაღნიშნული 7 მიმართულებიდან პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება და ქვემიმართულება სიტყვიერად:		
17	პროექტის საკვანძო სიტყვები (გთხოვთ, მიუთითოთ არაუმეტეს 5 ტერმინისა)	

² გთხოვთ, მიუთითოთ პროექტის შესაბამისი სამეცნიერო მიმართულება და ქვე-მიმართულება. არ შეიძლება მთლიანობაში 3-ზე მეტი ქვე-მიმართულების აღნიშვნა.

2. სურვილისამებრ მიუთითეთ არაუმტეს 3 არასასურველი ფქსპერტი (ასეთის არსებობის
შემთხვევაში)

№	სახელი, გვარი	ორგანიზაციის დასახელება

შენიშვნა: ნებისმიერი სავალდებულო პუნქტის შეუვსებლობის, ან ყალბი ინფორმაციისწარმოდგენის
შემთხვევაში ფონდი უფლებამოსილია მოხსნას პროექტი კონკურსიდან.

Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF)
Call for PhD Fellowships

Cover Page

1. General Information about the project¹

1	Project title	
2	PhD student's name, surname	
3	Contact information of PhD student (Telephone, email)	
4	Supervisor of the PhD thesis, (name, surname)	
5	Contact information of the supervisor (Telephone, email)	
6	Co-supervisor of the dissertation (if applicable), name, surname	
7	Contact information of the co-supervisor (Telephone, email)	
8	Consultant's name, surname (if applicable)	
9	Contact information of the consultant (telephone, email), web page	
10	PhD programme and high educational institute	
11	Web page of high educational institute	
12	Project total budget	
13	Requested total funding from SRNSF (GEL)	
14	Co-funding in GEL (if applicable)	
15	Project duration (months)	
16	Project scientific fields and sub-fields²	
	Field 1	1- Natural Sciences
	Sub-fields (Coding, Title)	
	Field 2	2 - Engineering and Technology
	Sub-fields (Coding, Title)	
	Field 3	3 - Medical and Health Sciences
	Sub-fields (Coding, Title)	

¹ Mandatory fields: **1, 2, 3, 4, 5, 10, 11, 12,13, 15, 16, 17.** The fields 6,7,8,9, and 14 are to be filled if applicable

² Please state project's relevant scientific field and sub-field. You can choose maximum 3 sub-fields.

	Field 4	4 - Agricultural Sciences
	Sub-fields (Coding, Title)	
	Field 5	5 – Social Sciences
	Sub-fields (Coding, Title)	
	Field 6	6 – Humanities
	Sub-fields (Coding, Title)	
	Field 7	7- Georgian Studies
	Sub-fields (Coding, Title)	
	Please indicate the <u>main</u> scientific field and sub-field of the project from above mentioned	
17	Keywords of the project (Please indicate up to 5 keywords/terms)	

2. Please, indicate names of 3 undesirable experts for peer reviewing your proposal (optional)

No	Expert's name, surname	Institution

Note: SRNSF is authorized to reject the project in case mandatory fields are not filled in or provided information is false.

დანართი 3
დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული
სამეცნიერო ფონდის გენერალური
2016 წლის 7ივლისის N 140 ბრძანებით

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურსი საპროექტო წინადადება

(არაუმეტეს 10 გვერდისა ფორმულების, ცხრილების, დაგრამებისა და ნახაზების ჩათვლით;
ინგლისური ტექსტი უნდა იყოს აკრეფილი 11 ზომის შრიფტით (სილფაენი), 1 ინტერვალით. გვერდის ველები: მარცხნივ
და მარჯვნივ 1 სმ.; ზემოთ და ქვემოთ 1 სმ)

1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და პრობლემის ფორმულირება

პროექტის/კვლევის თემის/საკითხის მოკლე მიმოხილვა; დასაბუთება, თუ რატომ არის პროექტი
მნიშვნელოვანი და აქტუალური; პროექტში განსახორციელებელი ამოცანების მეცნიერული სიახლის
აღწერა; პრობლემის ფორმულირება და სხვ.

2. კვლევის მიზნები და ამოცანები

აღწერეთ კვლევის მიზნები და ამოცანები; ჩამოთვალეთ და მოკლედ აღწერეთ პროექტის საბოლოო
მიზნის მისაღწევად შესასრულებელი ამოცანები და ეტაპები, მოსალოდნელი შედეგების ჩათვლით და სხვ.

3. კვლევის მეთოდოლოგია

აღწერეთ ინოვაციური მიდგომები დაგეგმილ კვლევაში; კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება და
შესაბამისობა პროექტის მიზნებთან; პროექტის რეალიზაციის პროცესში მოსალოდნელი სირთულეები და
მათი გადაწყვეტის გზები და სხვ.

4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება ან/და პრაქტიკული გამოყენება და კვლევის შედეგების გავრცელების გეგმა

აღწერეთ პროექტის განხორციელების მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება კონკრეტული
რეგიონისთვის, ქვეყნისთვის, დარგისათვის; პროექტის დასრულების შემდეგ დაწყებული საქმიანობის
გაგრძელების პერსპექტივა და სხვ.

5. პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის (ეტაპების, ვადებისა და განხორციელების გზების) შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან.

კვლევის მიზნების მიღწევისა და ამოცანების, პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკის მიხედვით
გადაჭრის გზების აღწერა/დასაბუთება და შესრულება მირითადი პერსონალის მიერ.

(პროექტის ამოცანები შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტის გეგმა-გრაფიკთან - დანართი №5)

6. პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება და მისი შესაბამისობა კვლევის მიზნებთან, ამოცანებთან და მეთოდოლოგიასთან.

მოკლედ აღწერეთ და დაასაბუთეთ პროექტის განხორციელებისთვის მოთხოვნილი რესურსების მართვის სქემა; აღწერეთ ბიუჯეტის ხარჯების კატეგორიების მიხედვით არსებული და შესასყიდი საქონლის, მომსახურების და სხვ. კავშირი შესასრულებელ ამოცანებთან.

7. პროექტის ეფექტური განხორცილებისათვის საჭირო მატერიალური რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებთან, ამოცანებთან და მეთოდოლოგიასთან.

დაასაბუთეთ არსებული და/ან მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობა პროექტის ამოცანების განხორციელებასთან.

No	პროექტის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ¹	არსებული	მიუთითოთ ლოკაცია ²	შესაძენი
1				
2				
3				
4				
n				

Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF)
Call for PhD Fellowships

Project Proposal form

(Up to 10 pages in English, including functions, tables, diagrams and illustrations if any)

Font: Times New Roman, size: 11. Paragraph spacing 1. Right and left margins: 1cm. Top and Bottom 1cm.)

1. Significance of the research topic, novelty of research, formulation of the problem

Please provide Brief introduction of the research topic; Project justification: showing significance of the research project. Description of scientific and technological novelty of the objectives set as part of the research project. Formulation of the problem, etc.

2. Research goals and objectives

Describe goals and objectives of the research project; List and briefly describe objectives and phases needed for achieving the overall goal of the project. Please also include deliverables.

3. Research methodology

Describe the innovative approaches that will be used in the planned research. Provide justification of the research methodology and its relevance to the project aims. Describe expected challenges and their solutions.

4. Scientific importance of the research outcomes and/or their practical application and dissemination of project's outcomes

Describe the scientific importance of the project's expected outcomes for specific region, country, society and field. Describe perspectives of the research after fulfilment of the project goals.

5. Adequacy of project implementation timeframe (action plan, stages and ways of implementation) with research aims and objectives

Description/justification and implementation by the key personnel of the project's aims and objectives according to the work-plan/schedule.

(Objectives should be in accordance to project's implementation timeframe, annex № 6)

6. Budget justification and its relevance to the research aims, methodology and objectives

Briefly describe and justify project's management scheme and usage of technical resources; describe the link between objectives and the offered product, service etc. by the budget spending categories.

7. Adequacy of needed material resources with the project aims, methodology and objectives

Provide brief justification / relevance of the existing and/or purchased material and equipment in compliance with the objectives set in the project.

Material and technical base for project implementation

No	Research infrastructure and equipment needed to carry out the project ¹	Existing	Location ²	To be Purchased	Location ³
1					
2					
3					
4					
n					

დოკუმენტის საგამოქმნალოის პროგრამის სახლის უფრო სამცირებო კანკურენტის წარმომადგენ მიუხდის ფარავა

პრეცედენტის სახელმწიფო:	
დოკუმენტის სახელი, გვარი	
სამართლო რეზინაზე:	
პრეცედენტის საქართველოს ფაქტი:	-
პრეცედენტის საქართველოს:	-
თანამდებობისას უარის ფაქტი:	-
კონკრეტულ მომავალისას არ აღინიშნა:	-
I ტანამდებობის ფაქტი დაყრდნობის დაზღუდვა	-
II ტანამდებობის ფაქტი დაყრდნობის დაზღუდვა	-
III ტანამდებობის ფაქტი დაყრდნობის დაზღუდვა	-
IV ტანამდებობის ფაქტი დაყრდნობის დაზღუდვა	-
V ტანამდებობის ფაქტი დაყრდნობის დაზღუდვა	-
VI ტანამდებობის ფაქტი დაყრდნობის დაზღუდვა	-

პროექტის საერთო ბიუჯეტი

(იურიდიული და ფინანსურირებული ურაზე, ეროვნულის უკარა დაუტემუნების)

პროექტის საერთო ბიუჯეტი იქნება რეალურ დალაგები. (ფინანსურირებულ დაუტემუნების მიზნამდებარებულ უფრო აფეთქებულების 21 000 ლარი)

№	სამიერ განკუთხია	I სასახლო გრძელება (ეჭვის)		II სასახლო გრძელება (კრებულის მდგრადი მატება)		III სასახლო გრძელება (ეჭვის)		IV სასახლო გრძელება (კრებულის მდგრადი მატება)		V სასახლო გრძელება (ეჭვის)		VI სასახლო გრძელება (კრებულის მდგრადი მატება)			
		I გრძელების მდგრადი მატება	II მაგრავის მდგრადი მატება	I გრძელების მდგრადი მატება	II მაგრავის მდგრადი მატება	I გრძელების მდგრადი მატება	II მაგრავის მდგრადი მატება	I გრძელების მდგრადი მატება	II მაგრავის მდგრადი მატება	I გრძელების მდგრადი მატება	II მაგრავის მდგრადი მატება	I გრძელების მდგრადი მატება	II მაგრავის მდგრადი მატება		
1	კომუნალურ სტანციები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00
1.1	კომუნალურ სტანციები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00
2	ტელემკუნა სტაციები, დოკუმენტაციურ სასტუმუროს მ/დ სპეც	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00
2.1.1													0	0	0
2.1.2													0	0	0
2.1.3													0	0	0
2.1.4													0	0	0
2.1.5													0	0	0
3	სამონიშვილის სამკუთხია დამოსახუმაში მონაცემების ხაზი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00	0,00
3.1												0	0	0	0
3.2												0	0	0	0
3.3												0	0	0	0
4	კუნძულის კულტურული კულტურის სამიერი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00	0,00
4.1												0	0	0	0
4.2												0	0	0	0
4.3												0	0	0	0
5	სამაულო და კულტურული მინიჭებულის კულტურული ხელ სამუშაო	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00	0,00
5.1												0	0	0	0
5.2												0	0	0	0
5.3												0	0	0	0
5.4												0	0	0	0
5.5												0	0	0	0
5.6												0	0	0	0
სულ მოსახლეობის სამუშაო		0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0,00	0,00	0,00	0,00

პროექტის სასტუმურო დოკუმენტი	შემდეგის მოსახლეობის მიმღების მატება (ლარი)
6 თებე	10 500 ლარი
12 თებე	21 000 ლარი
18 თებე	31 500 ლარი
24 თებე	42 000 ლარი
30 თებე	52 500 ლარი
36 თებე	63 000 ლარი

შემოწმებული რეალური დოკუმენტი

1. სტაციონარის სახლი დაგრძელებული შემოწმების დასახლება დაუკავშირული მიუბანის აუგისტი 50% (აუგისტი 10 500 ლარი), 6 თებეს მოსახლე შემოწმება - აუგისტი 5 250 ლარი, დოკუმენტის კულტურული სტაციონარის აუგისტი 1000 ლარი.

2. სამაულოს მ/დ 3 შემოწმებული დოკუმენტის სასტუმურო მოსახლეობის ხაზი (აუგისტი) სისტოლუს აუგისტის 20 მრავალი N 231 სასტუმუროს დაგვერცილი სახლების და სახეოფერებული დოკუმენტის სასტუმურო ხაზის სისტოლუს.

3. დოკუმენტის ფაქტურის კულტურული გენერაციის განვითარების სამსახურის მიზნის აუგისტი 5 თებე, სტაციონარი, ქალაქის სასტუმურო გენერაციის კულტურული გენერაციის განვითარების აუგისტი 10 თებე, დოკუმენტის ფაქტურის კულტურული გენერაციის განვითარების აუგისტი 15 თებე, აუგისტის 1 თებე, დოკუმენტის ფაქტურის კულტურული გენერაციის განვითარების აუგისტი 20 თებე, აუგისტის 25 თებე.

4. ურაზე და მეცნიერებული დოკუმენტის მიზნის გენერაციის კულტურული გენერაციის განვითარების აუგისტი 13 თებე, დოკუმენტის სასტუმურო მოსახლეობის გრანულობის მიზნის გენერაციის კულტურული გენერაციის განვითარების აუგისტი 18 თებე, დოკუმენტის მიზნის გრანულობის მიზნის გენერაციის კულტურული გენერაციის განვითარების აუგისტი 23 თებე, აუგისტის 28 თებე.

5. კუნძულის კულტურული დოკუმენტის დაგვერცილი სასტუმუროს აუგისტის 1-5 მდგრადი დოკუმენტის სასტუმურო.

Project title:	0
Doctoral name/surname:	0
Host institution:	0
Project duration (months):	0
Total budget:	-
Total amount of co-funding:	-
Total amount of funding requested from SRNSF:	-

Budget justificaiton

Nr	Categories of expenditure	Project total budget			Please provide verbal justification of the requested amount indicated in the budget expenditure categories (for instance, indicate a PhD stipend, if there is a research visit – give specific information on what kind of research visit it is, also indicate concrete service or material purchase and its relation to the set objectives)
		M Requested funding from SRNSF (A+C+E+G+I+K)	N Co-funding (B+D+F+H+J+L)	O Total (Requested funding from SRNSF + Co-funding / M+N)	
1	Phd student's stipend	0.00	0.00	0.00	
1.1.1	PhD student's name/surname	0	0	0	
2	Technical equipment, laboratory work or/and field-work expenditure;	0.00	0.00	0.00	
2.1.1		0	0	0	
2.1.2		0	0	0	
2.1.3		0	0	0	
2.1.4		0	0	0	
2.1.5		0	0	0	
3	Participation cost for international science arrangement:	0.00	0.00	0.00	
3.1		0	0	0	
3.2		0	0	0	
3.3		0	0	0	
4	Research visit cost in foreign country:	0.00	0.00	0.00	
4.1		0	0	0	
4.2		0	0	0	
4.3		0	0	0	
5	Other cost for learning and research:	0.00	0.00	0.00	
5.1		0	0	0	
5.2		0	0	0	
5.3		0	0	0	
5.4		0	0	0	
5.5		0	0	0	
5.6	Total budget	0.00	0.00	0.00	

პროექტის სათაური:

დოქტორანტი

უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულება :

დანართი 5

დამტკიცებულია

სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო

ფონდის გენერალური დირექტორის

2016 წლის 7 ივლისის N140 ბრძანებით

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

I საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თვეები)								ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)	
N	ამოცანის დასხელება	გასახორციელების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
II საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თვეები)								ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)	
N	ამოცანის დასხელება	გასახორციელების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა: აქტივობა 1 აქტივობა 2 აქტივობა 3							

III საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თვეები)

N	პროცენტის დასახელება	გასახორცილების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	პროცენტის შესრულების მდგრადი** (deliverables)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							

IV საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თვეები)

N	ამოცანის დასახულება	გასახორცილების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							

V საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თვეები)

N	ამოცანის დასახელება	გასახორცილების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							

VI საანგარიშო პერიოდი (მიუთითეთ თვეები)

N	ამოცანის დასახელება	გასახორცილების სამუშაოების აღწერა	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	ამოცანის შესრულების შედეგები** (deliverables)
1	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
2	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
3	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
4	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
5	ამოცანა	ამოცანის შესაბამისი აქტივობა							
		აქტივობა 1							
		აქტივობა 2							
		აქტივობა 3							

შენიშვნები გეგმა-გრაფიკის შევსებასთან დაკავშირებით:

- ** გთხოვთ, მოუთითოთ სამეცნიერო პროდუქტულობის თეატრალიზაციით გონიერებულ ამოცანის შესაბამისი შედეგი (სტატია, მოწყორაფა, პურენტი ან სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა). ან არის სავალდებული ყველა ამოცანის შემთხვევაში აღნიშვნული სევერის ასევე შესაძლებელია ერთი ამოცანისათვის რამდენიმე შედეგის მითითება.
- 1 მიაქციეთ ყურადღება, რომ ეკვლა შესაბულებულ ტანახაში ტექსტი სრულად ჩანაცვლი.
 - 2 დაგენერირო ეტაპების გამწვრივ "შესრულების ვადაში" მიეცით შეფერილია თქვენ მიურ დაგეგმილი შესრულების თვე/თვეების გრაფებს.
 - 3 საქირისტოსაშენო დამატეთ სტატიები.
 - 4 პროექტის გეგმა-გრაფიკა უნდა ითვალისწინებდეს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნებას.
 - 5 სტატია უნდა გამოქვეყნდეს ან მოქმედულ იქნას გამოსაქვეყნებლად ინგლისურ ენაზე საერთაშორისო რეიტინგულ რეჟისორებად და ციტირებად ეუროპალში.
 - 6 მონიტორინგი უნდა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დაწყობითი სარედაქტო/საგანმიზღვო საბჭოს მიერ დამტკიცებული.
